

თეატრი

1889 წ.

№ 48 & 49.

ლექსების 18.

გაზეთი ღირს: ერთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე: ნომერი—15 კ.

ხელის-მოწერა და წერილების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.

რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას. გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდესთ მოწერილი, სახელი, გვარი და ადრესი ავტორსა.

ქართული საკვირთა გაზეთი

თეატრი

მომავალ 1890 წლის იანვრიდან გამოვა სრულიად სხვა სახით და სხვა პირობა მონაწილეობით რედაქციაში. აგრეთვე აღმოჩენილი გვაქვს უკეთესთა ქართველთა მწერალთა თანაშრომელნი ქურონალში. ქურონალის უმთავრესი დანიშნულება იქნება, მოსცეს წარმატება ჩვენს იმ გვარს ლიტერატურას, რომელსაც ექნება სამკვიდრო მნიშვნელობა და ექნება ხასიათი არა ძარტო დღიური, არამედ მომავლისთვისაც. რედაქციას აგრეთვე მიღებული აქვს ზომიერება, რომ შესცვალოს და შეაგროოს ქურონალის პროგრამმა დროებისა და გარემოების მოთხოვნების და გვარად.

ხელის-მოწერა მიიღება ამ ადრესით: Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквіани, Роману Панцхава.

ქუთაისში: ქმათა წყქუთელთა წიგნის მაღაზიაში. ბათუმში: მოსკო ნათაქესთან. ბორში: ილია ნატრაქეთან. სენაკში: სამსონ ფიფიანთან. შუკდიდში: აფთაქაში სერგა წყქუთელთან. ახალციხეს: შაალ ნაადლოთან.

ახალი ამბები

ჩვენ ნამდვილი წყაროდან შეერთებულად, რომ აკაკი მომავალის წლიდან გაზ. „ივერიაში“ აღარ მიიღებს არავითარ მონაწილეობას.

გ. ჩარკვიანის და რ. ფანცხავას ქართული წიგნის მალაზიის მიერ გამოცემული «კელის კალენდარი» ამ დღებში გამოვიდა და უკვე ისყიდება.

კალენდარი შეიცავს ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა საკალენდარო ცნობებს; სახელმწიფო დღესასწაულებს, ისტორიულს ცნობებს, მთვარის ანგარიშს, ქართველთა წმინდანებისა მოკლედ ცხოვრების აღწერას, დამაკვირდიდგან და ნაკვესებიდგან ამოკრებილს ლექსებს, ქართული ს.მზარეულოს და სხვა სასარგებლო რჩევებს.

კალენდარი ძლიერ სუფთად და ფაქიზათ არის შედგენილი და ღირს ორი აბაზი.

ვინ არ იცის, რომ ქართული ლიტერატურა საზოგადოდ მთლად მიბადვია რუსულისა, მაგრამ გაზ. „ივერიას“ სამწუხაროდ სხვა უფრო ბრალს სდებდენ. ხშირად გაგვიგონია, რომ დიპლომატების შესახებ მოწინავე წერილები ამ გაზეთისა „Москов. Вѣд.“ და „Правданинъ“-დგან ითარგმნებაო, მაგრ.მ, რ.დგანაც დასაჩუქრებული რუსული გაზეთების მკითხველი ჩვენ არა ვა თ, ჩვენ გაეციანებდით ხოლმე და მეტს ვერაფერს ვიტყვოდით.

სამწუხაროდ, ეს ხმა მართალი ყოფილა.

ნიმუშად მოგვყავს ამ ხანად „ივერიის“ 264 №-ში დაბეჭდილი ერთი მოწინავე წერილთაგანი ვილაც ფრონელისა და იმისი ორიგინალი, რომელიც იბეჭდება „Русская Мысль“-

ის ამ წლის ნომერის ნომერში და ეკუთვნის ქალბატონს ვიკტორია კანრალი-კალამს.

Завоевание Ирландии совершилось еще въ XII-мъ столѣтїи, при Генрихѣ II. Согласно средневѣковому обычаю, король роздалъ полководцамъ, участвовавшимъ въ этомъ предпрїятїи, громадныя пространства земли въ покоренной странѣ, на правахъ леннаго владѣнїя. Новые владѣльцы, водворившись въ своихъ помѣстьяхъ, продолжали обходиться съ туземнымъ населенїемъ, какъ завоеватели. Единственное исключенїе изъ общаго базироваго положенїя страны представлялъ лишь сѣверо-восточный уголъ Ирландїи, гдѣ вскорѣ послѣ завоеванїя осыло значительное число англїйскихъ выходцевъ и гдѣ, поэтому, уже въ раннюю эпоху была водворена англїйская гражданственность и даже утвержденъ парламентъ на началахъ, заимствованныхъ изъ Magna Charta. Но эти гарантїи становились въ рукахъ англїчанъ лишь новымъ орудиемъ угнетенїя по отношенїю къ туземцамъ. Ирландїя распадалась на двѣ неравныя части. Область, заселенная англїйскими выходцами, носила характерное названїе the Pale, т. е. пространство, отгороженное

ირლანდია დამოტრიალა ინგლისმა მე XII საუკუნეში ჰენრის II დ-ის მიერ, საშუალო საუკუნეთა ევლემბერ, დაურიგა თავის სარდლებს მომეტებული ნაწილი ირლანდიელების მამულებისა. აალი მებატონენი ირლანდიელებს ისე უტკერადენენ როგორც ყურ-მოჭრილ ყძებსა და მონებს. მხოლოდ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ნაწილს ზურმუხტოვანის კუნძულისა სრულიად ხელში ჩაიგდეს ინგლისიდგან გამოუსულებმა. იმათ მიენკათ სრული უფლებანი ინგლისის მოქალაქესა. ესენი მატონებზე უარესად სტანდენ ირლანდიელებს. დია გაიყო ორ ნაწილად, ერთს დაერქვა „განადირებულ ირლანდი“, და მეორეს the Pale, ე. ი. ლობით შეკრულ ეული მამული. გათამამებულ ირლანდიელს უდიერად ეკადე

частоколомъ: все, что лежало за предѣлами этого частокola, называлось «дикюю Ирландіею». Своеволіе гражданъ привилегированной области надъ безправнымъ населеніемъ остальнаго острова не знало границъ и то и дѣло вызывало смуты среди ирландцевъ.

Проходили годы и вѣка, формы феодальной жизни изнашивались и замѣнялись другими, въ которыхъ постепенно воплощались инныя правовыя начала, но Ирландіи это не приносило никакихъ улучшеній. Триста лѣтъ спустя послѣ завоеванія, при Іаковѣ I, исчезаютъ слѣды раздѣленія Ирландіи на «дикую» и «отгороженную частоколомъ». Англійское гражданское управление и англійскіе законы распространены на весь островъ, мѣстные обычаи объявлены утратившими свою силу; въ районъ парламентскихъ учрежденій входятъ всѣ графства острова. Но, въ то же время, съ цѣлью оградить и усилить въ Ирландіи вліяніе аристократіи и короны, Іаковъ I создалъ множество мелкихъ избирательныхъ округовъ, такъ называемыхъ «карманныхъ мѣстечекъ», населеніе которыхъ пользовалось избирательнымъ правомъ только на бумагѣ, въ дѣйствительности же представительство этихъ округовъ всецѣло зависѣло

ბოლა ირლანდიის მკვიდრს, რომელიც ამის გამო ხშირად ეწინააღმდეგებოდა უცხოთა ბატონობას...

ბევრმა ხანმა გაიარა მას შემდეგ, ფეოდალობამ ჩაილულის წყალი დალია, მაგრამ ირლანდიას კეთილდღეობა არა ჰლირსებია. ინგლისმა თავისი სამოქალაქო მართვა-გამგეობა და კანონები შეიტანა ირლანდიაში, იქაური ჩვეულებანი და ადამი სრულებით მოსპო.

მთელი კუნძული იაკობ პირველმა გაჰყო რამდენსამე საგრაფოდ, თითოეულში ითვლებოდა რამდენიმე საარჩევანო მანრა, ესრედ წოდებულნი «ჯიბის ადგილი». ეს «ჯიბის ადგილები» დაუკრივა არისტოკრატებს, რომელნიც შეიქმნენ ნამდვილი ბატონები «ზურმუხტოვანის კუნძულისა», რადგანაც იმათს სურვილზე იყო



отъ мѣстныхъ крупныхъ зем-
левладѣльцевъ, которые, состоя
сами членами верхней палаты
ирландскаго парламента, сажали
въ нижнюю палату того
же парламента своихъ вра-
туръ.

დამოკიდებული, ეინ უნდა
გაეგზავნათ ქვედა-პალატაში
და ზედა-პალატაში ხომ თი-
თონ ისინი იყვნენ წვევრებად.

როგორც მკითხველი ხედავს, ნათარგმნიც კი უნი-
კოდ არის, მაგ, Частокольს-ს თარგმნის ლობედ, „Дикая
Ирландія“-ს, განადირებულ ირლანდიად და სხ. ივერიაში მრ-
თელს განყოფილებას „უცხოეთი, წერილი ამბები, გასართობი
უცხოთა შორის“, პირდაპირ თარგმნიან რუსულიდგან ისე,
როგორც ტელეგრამებს თარგმნიან ხოლმე. ჩვენ აღარაფერს
ვიტყვი. მკითხველმა თვითონ დაარქვას სახელი ამ ნაირს
საქციელს.

ამ-ვე ფრონელს წინედ წერილი ჰქონდა შოტლანდიაზე
და ერობაზე და ესენიც პირდაპირ არის ნათარგმნი.

(შემდეგ იქნება)

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ი ს მ ა ს ა ლ ე ბ ი
ბუტკოვის წიგნილამ

(Материалы для новой исторіи Кавказа съ 1722 по 1803 г.)

(შემდეგ *)

რაკი რუსები შეკადნენ სპარსეთში და დაიჭირეს კასპის
ზღვის (ანუ უწინდებულად გურჯიანის ზღვის) ანუ დარუბანდის

*) იხ ლე „თეატრის“ № 16.

სადგის) ნაპირები, მაშინ ოსმალებმაც, როგორც ზემოთაც იუ-
ნათქვამი, მოჭიდეს იარაღს ხელი და შევიდნენ სპარსეთში რუსე-
ბის საწინააღმდეგოთ. ოსმალებს ჯარმა დაიჭირა ერევნისა და
თაკრისის ადგილები. მაგრამ ვიდრემ ისინი აქ შევიდოდნენ, სა-
ჭიროდ წინასეს დაჭირათ ჯერ ქართლი. ანზრუძის ფაშა 20 ათა-
სას კრებით შევიდა ქართლში 1723 წელსა და დაიჭირა. აქედამ
თურქნი გაიდნენ კახეთში, დაიჭირეს კახეთის მთელი კოსტანტინე
და მოსკოვს იმას თავა და დაიჭირეს კახეთიც. ამგვარად ქრთ-
ლი და კახეთი ეჭირათ თურქთა თორმეტი წელიწადი, ვიდრემ ნა-
დირ შაჰმა არ განდევნა ივინი საქართველოდამ. ამჯერ დროს დაი-
ჭირეს თურქთა თითქმის მთელი შატრას სომხთი და შამანიის
გარემონი. ამგვარათ თურქთა დიდი ჯარი შეიფანეს საქართველოსა
და სომხების ქვეყნებში და ოთხმეტი ათას განამდას ლაშქარო
უფრათ თავის საზღვრებზედ საომრად გამზადებულნი.

რადგან ქართლ-კახეთი და სომხთი დაიჭირეს ოსმალთა,
ამისგანა ბევრი სომეხი და ქართველი გაიქცა დადნენ თავის ქვე-
ხილამ იმ ადგილებში, რომელიც რუსეთს ეჭირა. ბევრი ქართვე-
ლობა გადასახლდა დარუბანდში და იქ გააკეთეს თავის საკუთარი
მონასტერები.

რაკი ეს ძალა შეჭრიბეს ოსმალთა, სულთანნი მზათ იუ-
გამოეცხადებინა ომი რუსეთისთვის, რომ ჩამოერთმია იმისთვის
დაჭერილი სპარსეთის ქვეყნები.

მეტრე მარკელი ჰშირდებოდა სპარსეთის შაჰს (თამაზს) და-
ხმარებას ოსმალების წინააღმდეგ, რაკი ოსმალებმა სპარსეთის
ქვეყნები დაიპყრეს, და ჰშირდებოდა ეგრეთვე განდევნილი ქვეყნებისა
და ხანების დამორჩილებას იმ შირობით, რომ იმას ფაქთომ და
დაქმტვიცებინა რუსეთისთვის ის ქვეყნები, რომელნიც კახეთის ზღ-
ვის გარშემო დაიჭირეს რუსებმა და რომელნიც დაუშტვიცა რუ-
სებს შაჰის მიხედობილამ შირმა ისრაილ-ბეგმა, რომელიც შაჰმა
ჩათვალა მოღალატეთ. მაგრამ შაჰმა არ ინდობა ესა და სრული
უარი უყო ამისზედ რუსებს.

რავი ეს ასრე მოხდა, ამისგანა არ ინდომე ჰეტრემ ბრძო-
 ლა ესმალებთან, და დაიწყო მოლაშაბრეება იმართან. ამ მოლაშა-
 რეების ნაყოფი იყო ისა, რომ ჰეტრე შეეკრა ესმალოს სსკა-
 თა შორის შეძღვის შირობებით, და ეს შირობები უნდა აღსუ-
 ლებაში მოსულიყენი, თუდა რომ ამისი უბული არც კი გაძსდა-
 იყო სპარსეთს შაჰი. ეს მოხდა 1723 წელსა. ამ შირობების
 ძალით ჰეტრე პირველი უთპობდა ესმალებს სსკათა შორის ქართლ-
 კახეთს და სომხების ქვეყნებს. რუსეთსა რჩებოდა დაჭერილი ვას-
 შის ზღვის ნაშირის ქვეყნები, რომლებსაც არ უძტიცებდა შაჰი
 და ეწინააღმდეგებოდა. ტრაკტატის შეძგომ, ჰეტრე უბრძანებდა
 რუმიანოვს, რომ იმას შეეკონებინა სომხებისათვის, რომ ისინი
 წამოსულიყვნენ თავის ქვეყნებდამ და გადმოასახლებულიყვნენ ახ-
 ლად რუსეთსკად დაძტიცებულას სპარსების ქვეყნებსა: გილანსა შირ-
 ვანსა და სსკა აღაგებშ.

რავი ქართლ კახეთი 12 ივნისს 1724 წელს რუსეთსა და ოს-
 მალებს შორის დაძტიცებული შირობების ძალით მიეცა რუსები-
 სკან ოსმალებს, ვასტანგ მეფემ, რომელიც ამ დროს ოსმალოთა-
 გან განდევნილი იყო თავის ქვეყნიდამ და იძალებოდა იმე-
 რეთში, დაჭკარვა ყოველი იმედი, რომ დაჭბრუნებოდა თავისი სამე-
 ფო. ამისგანა, იმან გადასწყვიტა, რომ წასულიყო რუსეთში.

ამაზედ მისწერა ვასტანგმა ასტრახანის ლუბერნატორს ვო-
 ლინსკის, რომელიც მოახსენა ეს ჰეტრე სელმწიფეს, და იმავე
 დროს, სელმწიფის სახელით აღწობა ვოლინსკი ვასტანგს, რომ
 ეძლეოდა ნება სხილობით ასტრახანში გადმოასახლებისა. იმპერა-
 ტორი ჰეტრე განჩისდა ამგვარი ნების დართკაზედ, და ამბობ-
 და, რომ ეგ მეფე იმიტომ არ არის შესაწყენარებული, რომ უბე-
 ლურებაშიც თავის ამყობას არ იშლისო. ჰეტრე კიდევ არ აძლევდა
 ვასტანგს რუსეთში გადასვლის ნებას, მინამ არ მიუვიდა ვოლინ-
 სკისაგან მოსსენება, რომ იმან ვასტანგს გადასახლების ნება მის-
 ცა კიდევ სელმწიფის სახელით, და ეგრეთვე მოაღბო ჰეტრე ვას-
 ტანგ მეფის დის წულმა, რომელიც აღუწერდა სამიწელს ვასტან-
 გს უბედურებათა. ეს ვასტანგ მეფის და იყო აწილი მეფის ცო-

ლი, ეკატერინე, რამელიც სცნოვრება რუსეთში და იყო მება-
ტონე სოფელის ვალეტისა. მაშინ ძლიერ დართო ნება პეტრემ
ვასტანგს რუსეთში გადასახლებისა და მოსწერა ამზუდ წიგნი
ფრანგისტან თურქისტანიძეილის და დაწით ნაზაროვის ხელით.
ამ წიგნში სწერდა, რომ ის იქნება ხელმწიფის დიდი წყალობით
მიღებული.

რავი რუსეთთან შირობის შეკვრის ძალით რსმალებმა დაიჭი-
რეს სომხების ქვეყნა, რსმალებმა დაუწყეს სამინული შეიწროება
სომხებსა.

რავი სომხებმა ჩაწყვიდნენ ამ გაჭირვებაში და ამასთან ერ-
თათა ერთი ნუგეში ამათი, მეფე ვასტანგეც გადასახლდა რუსეთში,
მაშინ იმათ შესამეთ მიჭმართეს პეტრე შირველს დიდი კადრებით,
რომ შეებრალბინა ისინი და დაჭმარებოდა ამ სამინულს გაჭირვ-
ებაში, და ეს მაინც ექნა, რომ მიეცა იმათთვის გადასახლებელი
ადგილები კასპიის ზღვის ნაპირებსა ანუ სხვა რუსებისაგან აზლად
დაჭერიდეს აღატებში.

10 ნონბერს 1724 წელს, მომაკვდავი პეტრემ ინახუნა
სომხების მოციქულები, ელაპარაკა დიდს ხანს და დიდათ დაიძედა.

ამავე რიცხვში გენერალს გროზოტოვს მოუვიდა ბრძანება,
რომ ურკელი დონისპიებითა ცდილიყო, დაჭმარებოდა სომხებისა
და სხვა ქრისტიანებისა თავის ქვეყნებიდამ რუსეთის ახლად შეიქ-
ნილს სამფლობელოში გადმოსახლებას. ესევე ბრძანება მიუვიდა
გენერალს მატუშკინს და ბრიგადირს ლევაოვს. ესევე გამოეცხა-
და მთელს სომხის ხალხს, და რომ სომხებისა და სხვა ქრისტიან-
ობისთვის საკმაო დასახლებელი ადგილები ურუდილიყო, განუ-
ძოთ ამ ქვეყნებიდამ ვველა საიჭო და ურჩი მოსლიმანები და იმა-
თს სახლ ვარსა და ბინადრობაზედ დაესახლებინათ ესენი. ესევე
ბრძანება განახლებულ იქმნა შემდეგვე პეტრეს სიკვდილისა ეკატ-
ერინე პირველისაგან 22 თებერვალს 1725 წელს; და უცხო
ქვეყნების საქმეთა კოლლეგიისაგან 22 თებერვალს 1726 წელსა.



პეტრე შარკელის უპარკველესა განსწახვა და სურვილი იყო, რომ, არამც თუ ამრავლეს ქრისტიანენი თავის ძხლად დაჭერილს ქვეყნებში, არამედ, თუმიცა ზემოხსენებულის ტრაქტატის ძალით დაუთმო საქართველო და სომხითი, მაინც როგორმე მოეკლა ეს ქვეყნები ხელში და დაეჭირა თქითონა. და გერენად მაიორს რუბინჯი ეს, რომელიც ამ ტრაქტატის დასმტკიცებულთ მიდობდა სტამბოლს და იქედამ უნდა სპარსეთში წასულიყო, ჰქონდა ნაბრინები სასტიკათ, რომ იმას გამოეკვლია დაწერილებით და შეეკრუა რა გზით უფრო შეიძლებოდა რუსის ჯარის შესვლა საქართველოში და სასომხითოში.

მთელმა ყარაბაღმა იწყო გადასახლებულთ მზადება, მაგრამ ჯერ ეტრეს სიკვდილმა და შემდეგ ნადირ შაჰის ტანტუვად ასულამ შეაფრება სომხები. თუმიცა მაინცა და მაინც დიდძალი სომხობა გადასაღდა რუსეთში, სხვათა შორის კავსიტონის მელიქი მთელი თავისი ხალხით გადავიდა რუსეთში დასახლებულათ.

6

რუსეთთან შეკრული ტრაქტატის ძალით ოსმალები შევიდნენ და დაიჭირეს სპარსთა ქვეყნები. ოსმალნი არ დასჯერდნენ იმ ქვეყნებსაც, რომდინც რუსეთთან ტრაქტატის ძალით დაჩნათ, იმათ დაუწყეს დაჭრა სხვა ადგილებსაც. ერთმხრივ ოსმალნი შეკრეს მხრივ ავღანთა ჩემულოზდნენ თითქმის მთელს სპარსეთს. თეირანი და ისპაანი ზურათ ავღანთა. შაჰი ჰუსეინი ჰეყანდათ ავღანთ ტყვეთ სუბურობილ, შეილი შაჰის ჰუსეინისა, თამაზი (ზუტყოვით ტამაზნი ეწინილივით ფარებოდა სხვა და სხვა ჯერ კიდევ ამის ერთგუვით დაჩქენით ქვეყნებსა იმ დროს, როდესაც შაჰი თამაზ იმაღლებდა ფერაბაში, ასტრბადის მახლობლად, კასპის ზღვის ნაპირს, ამ დროს მოვიდა მისთან ვინმე მხედარი, სახელად ნადირი, ექაი ათასი ცით და მოახსენა, რომ ის ამ ჯარით მზად იყო დაჟარა მტერებთან თავისი კანონიერი ხელმწიფე. ეს ნადირ იყო ისლამური ნაჯრი, რომელიც ბოლოს გახდა შაჰით მთელი სპარ-

რსეთისა და შუარქია მთელი ტარქმონ სსხელმწიფონი. შაჰი მიენდო იმას სრული გულით.

ეს ნადირ-ყული დაიბადა 1688 წელსა ხორასნის ქვეყნაში, და იყო შთამომავლობით თურქენი, უბრალო მეჭურქეს შვილი. შაჰ-თა ძაჰმა ამას უწოდა ნადირ-ალი-ხ ნობა.

ნადირმა ურჩია შაჰს ჯერ ხორასნზედ წასვლა. შაჰი მიჰყვა იმას ნებას. ხორასნზე დიდი სიხარულით მიიღო შაჰ-თამაზი, რა-გორც თავის განზიარეი სელმწიფე. აქ გამძლევიდა ნადირი ჯაბუ-ბით და ფულით და დაიძრა სსკა ქვეყნებისაკენ და უველჯან იყო გამარჯვება. ნადირმა გაიმარჯვა მრავალ გზით რსმალებზედა და დაიბრუნა ბეური. ბოლოს წაართვა ავღანთა ყველა ქვეყნები, მხო-შურა ავღანთა წინამძღოლი კშრუფი და მოჰქრა თავი რაორც კშრუფს, ეგრეთვე ყველა იმის გარის კანთა და მომხრეა.

ამავე ხანებში, რადესაც უნდაჩრისაკენ სპარსეთისმორე მხარეს ნადირი იმურობდა ქვეყნებს და მოჰყვდა მორჩლებაში ურჩი ხალხები და აკეთებდა სამაგრებს, შაჰი თამაზ ექებოდა რსმალებს. მგზამ ერეკანიანი ისრე ძლიერ დაამარცხეს რსმალებმა შაჰ-თამაზი, რამ სამოცდა თსუთმეტი ათასი კაციდამ დაჩა მხო-ლოდ რმომცდნსუთი ათასი კაცი. ამ ბრძოლაში მოკლე გამოჩე-ნილი და უკეთესი თამაზის სარდალი ქარკელი თავადიდაედაძე, რომელსაც ჰყვდა ცოლით შაჰ-უსეინის ქალი, დაყოით შაჰ-თამაზისა.

გარდა ამისა, კიდევ მრავალ სსკა ადგილებშიდაამარცხე შაჰ-თამაზ რსმალთა და წაართვეს ისევ ის ადგილები რომელნი მარშან წაართვა რსმალებს ნადირმა.

რაკი ეს მარცხი ნახა შაჰ-თამაზმა, ადგა და ურბოდა რ-მალეთს. ამ მორიგების ძალით შაჰ-თამაზ გარდა სს ქვეყნების, უთმობდა რსმალთ საქართველოსაც.

რაკა გაიგო ეს ნადირმა, რამ იმის დაუვითხად შაჰ-თამაზ შურობდა რსმალთა და დაუთმო ბეური ქვეყნებიდ ბრუნდათუ



ახა უნდაარსდამ ისინს 17:2 წელს მარცხობის თვეში, მოიწვიან შაჰ-თამაზის ნადიმზედ და აქ შეაპყრო ის ტყვედ, გადააგდო ტახტიდამ გაისტუმრა მამადში და დაათხრეკინა იქ ამისთვის თვალები. სპარსეთის შაჰთ გამარცხნდა იმისი რვა თვის შვილი აბაზ მირზა, რომელსაც უწოდა შაჰ-ბაზ III დ. და თავის თავი, მინამ ის გაიხდებოდა, გამარცხნდა იმის გეჟილათ ანუ განგლებათ სპარსეთისა. შაჰ-თამაზის გასათრეული მშენებების ქალი, ჭკრივი ქართულის ი ავადის დაეღაძინა და რომელსაც დარჩა ამ ქალთან თორმეტი წლის ვაჟი, ძალათი შეართო ცოლათ.

რავი მთელი ძალა ჩიოგდო ნადირმა ხელთა, შეუთვალა ოსმალთ, რომ იმათ დერეჟებინათ თავი სპარსეთ. სკან წართმეული ქვეყნებისთვის. ოსმალთ ეს არ ინებეს.

ნადირმა გამოსცა ბრძანება მთელს სპარსეთში, რომ ის უარსა ჯეოფს იმ პირობას, რომლის ძალითაც ოსმალთ უჭირავთ სპარსეთის ქვეყნები, და რომელიც შაჰ-თამაზის პირობის შესრულების ძალით ეჭირათ ოსმალთა.

ამასვედ ოსმალნი იძულებულ განდენ კვლავ შესდგომოდნენ სპარსელებთან ომს.

პირველ ხანათ ნადირი რამდენჯერმე დამარცხდა ოსმალთაგან, მაგრამ პოლას ერთს ბრძოლაში, სადაც ნადირს მოუკლეს ცხენი და კიდევ დასჭრეს*), ამან დაამარცხა დიდათ ოსმალნი; მოუკლა პირველი სარდალა თოფელ ოსმალნი. ამის შემდეგ ნადირმა ვეკლავს სძლია ოსმალნი.

ეს გამარჯვებანი თავისნი აჩიობა ნადირმა რუსეთის ხელმწიფეს ანა იოანეს ასულს და სთხოვდა, რომ დაერუნებინა სპარსეთ-

*) ამ ბრძოლაში, ბუტკოვის სიტყვით, ნადირი გადაარჩინა, თეიმურაზ მეორე შეფის ძმისწულმა, კოს ანტონე შეფის შვილმა მამად-მირზამ, რომელიც თავისი ცხენი მისცა ნადირსა, რომლითაც ნადირმა გაასწრო შეფს, და თერთნე მამად-მირზა დარჩა და აკკაფა ოსმალნი.



ში უკვლავ სპარსეთის ქვეშევრდომნი, რომელნიც სპარსეთიდან გა-
 დასახლებულნი იყვნენ რუსეთში, როგორც ქრისტიანნი ეგრეთვე სხვა
 სარწმუნოების ხალხნი. ანა იოანოვანაძე, რათა ეჩვენებინა მეტო-
 ბრება თავისი ნადირთან და მთელ სპარსეთის ხალხთან 29 მაისს
 1734 წელს გამოსცა ბრძანება, რომლითაც აიძულებდა უკვლავ სპარ-
 სეთიდან გამოსული უკან დაბრუნებას, თუ იმით არ მიეღოთ
 მართმადიდებელი სარწმუნოება; ვინც ნებით არ წავიდოდა, იგზავ-
 ნებოდნენ ძალით ასტრახანზედ ლენკალს ლევაშოვთან, რომელიც
 ამ გაგზავნილთ ახარებდა სპარსელებს.

ამ სახეობის ნადირი სდევნიდა სომხების ქვეყნები-
 დამ და საქართველოდამ ოსმალთა, გარდიცვალა შაჰი-თამაზ, რომ-
 ლელიც ჰყავდა ნადირს შატრიძად. ამას გაჰყვა თან იმისა შვილი
 შაჰი-აბაზ III ცხ. აჰ ნადირი ჩავიდა ისპაანს დ. დაჟდა შაჰად.

ამ სახეობის ნადირის შვილი რუსო-ეული-მირზა ორმოცდათი
 ათასის კაცით სდევნიდა სომხთიდან და საქართველოდამ ოსმალთ
 და თათართა. ამში ძალიან ეწეოდნენ საქართველოს დასომ-
 ხითის დიდებულნი და პატრონნი სპარსელებს. სპარსეთის სარდალი
 შემოკრტა თბილისს და შეუთვალა ოსმალთა, რომ მთლათ გას-
 წვევტავდა ოსმალების შედისოვნებს, თუ ესლავე არ დასცლიდნენ ქა-
 ლაქს. ოსმალებმა დასცლიეს ქალაქი. სხვა სიმაგრეებშიც ოსმალები
 ბეკრს ვერ უმაგრდებოდნენ სპარსელებს. ამ სახეობის თვითნადი-
 რიც მოვიდა საქართველოში და სრულიად გასწიინდა საქართველო
 ოსმალთაგან.

მინამ შაჰად დაჟდებოდა, ოსმალბთან შერიგებზედ ძალიან
 უარს იყო, რაკი დაჟდა შაჰად, ამან უფრო ღმობიერება გამოი-
 წინა და შეურიგდა 1736 წელს ოსმალთა, რომლისაც ძალით ორ-
 თავე სომხთი, საქართველო და ერევნის ქვეყნები დაჩნენ ნა-
 დირსა.



ამ ხანებში ნადირი ბეკრს ხანს დაწინა საქართველოში, სსსკ-
თა შორის თბილისში დაწინა შვიდმეტრი დღე.

ამ აღსკვნის სპარსებს, რომ ძალათ აღწახის ამჟამად-
ნებდნენ; რადგან მთელს სპარსეთში ნადირმა ნება მისცა უკლას,
ვისაც რა სარწმუნოებაც უნდა ელვარებინა. ბეკრს ქართველებს
უბოძა თავადობა და უწყალობა ემა და მამული და უბოძა ბეკრი
ფუფლი*).

როდენივე ხნის უკან, კახთა მეფის თეიმურაზ II ცოლის
თამარის თხოვნით, რომელიც იყო ასული ვახტანგ VI-სა, დამტ-
კიცა თეიმურაზ კახეთის მეფედ, და მისცა ქართლის სამეფოდამ
არაგვის სურბითა და ორიც კიდევ სსსკ მხარე: ბორჩალო და
ჭიჭიჭი, რომელიც შინამდის განჯის ხანს ეჭირა. უკვლევკ ეს
მისცა თეიმურაზს მიტომ, რომ იმან დიდი შემწობა მისცა
ნადირს ოსმალთა საქართველოდამ განდევნაში, ამასთან თეიმურა-
ზმა დაუმტრცა თათრები, რომელიც მიდიოდნენ სურსანიანთან
მისაშველებათ (სურსანი იყო ლეკების წინამძღვარი და ნადირის
წინააღმდეგე). ეგრეთვე თეიმურაზმა შეიპყრა ვინმე სააში, რომე-
ლიც თავის თავს უწოდებდა შაჰად და ამბობდა, რომ მე კარ
შეილია; უსეინ შაჰისათ. ეს საიში გამოჩნდა ადრბეიჯანს, შემდ-
გომ მოვიდა საქართველოში, სადაც შეიპყრა თეიმურაზმა.

ქართლის სამეფო მისცა ნადირ-ალისანს, (რომელიც იყო
თეიმურაზ მეფის ძმის წული, შვილი კახთა მეფის დავითისა ანუ
იმაშეფული-ხანისა, ღვიძლი ძმა მაჰმად-მირზასა, რომელმაც ბად-
დის ბრძოლაში ნადირი გადაარჩინა ტყვეობასა და სიკვდილს*).
ნაკრამ, ნადირმა მალე შეინა, რომ იმას ეჭირა ოსმალების მხა-
რე, და ამის გამო ქართლი მისცა თეიმურაზსა, და კახეთი იმის

*) ბოლოზედ უწერია ბუტაოვს: №. ეს ყველაფერი ტყუილია.

1 ქართველი მწერლების სიტყვით, ამას ჰრქმევია ქრისტინულად
აღიქსანდრე.



გისწავლეს შვილს ირაკლს, რომელიც დაახლოებით 1721 წელსა. ირაკლი რომელიც ძალიან უყვარდა სადიჩსა, წაიყვანა თან ინდოეთის ომებში, სადაც ახლად საუკეთესო ქართლკაცების თავადობა, ისრე სემსანურისთვის ბრძოლაში, მკონია იმისთვის, რომ ისინი ამხანაგები იყვნენ.

ვასტანკ მუფის ძის ასეს ბედი, რომელიც ოსმალებმა დასვეს ქართლის მეფედ არ გიცით. იმას ერთს შვილს ცოლად ჰყავდა ქალი გივი ამილახვრისა. რომელიც იყო უფროსი ძეთეს გვარში (გვარის ბატონი). ნადირმა როდესაც ნახა ეს ქალი, გაიტაცა ის ამ ქალის მშენიერებამ, წაართვა ქმარსა და შეირთო თვითონ ცოლად: ამის შემდგომ ეს იასე მუფის შვილი შედგა მონახუნად და ეწოდა მონახუნობაში ანტონი. შემდგომ ეს იყო საქართველოს კათალიკოსათ და გარდიცვალა 1779 წელს. ორი იასეს შვილი: ალექსანდრე და არწილა გარდაცვიდნენ რუსეთში. ალექსანდრეს შვილი, კირილე ალექსანდრის ძე არის ესლა (ბუტკოვის დროს) სენატორი, არწილის შვილის ივანეს შვილი არის ესლა ბეტრე ივანეს ძე ბატონი (სახელკაციანი ნაპოლეონის მოპირდაპირე გმირი).

ნადირმა თავის ღვიძლს ქმარს წუჯს ალი ყული-ხანს, რომელიც იმის შემდგომ დაჟდა მეფედ, შერთო ცოლად თეიმურაზ მუფის ქალი, რომელიც ჰყავდა ვასტანკ მუფის ასულას თამარის-გან*).

*) ნადირი უწინ ძალიან განრხებული იყო ქართველებზედ. იმან მოიწვია თავისთან ბანკში მეფე თეიმურაზ და ყველა ქართველების თავადები და დატყვევა, რომ უფრო ვილად შესძლებოდა საქართველოს გადასახლება სპარსეთში, ქართველების აღადგას უნდოდა დაესაღვებინა სპარსელები, რომ მასუკან ქართველებისა აღარა კმინებოდა. მაგრამ ერთი ქართველი თავადი, გივი ამილახვარი გამოიქცა ამ ბატონობიდან, აცნობა ეს ქართველებს, შეჭურა მთელი საქართველო, შეასხა ყველას იარაღი, დაი-

მაშინ როდესაც ნადირ შაჰი იბრძოდა ინდოეთსა, ყანდაღსა ხივასა და ბუხარაში, დაღესტნელები და ლეკები აქმაღნენ იმასა; შეჭკრიბეს მრავალი ჟარა, დაეცნენ სიჭაბოკოებს და საშინლათ ააოხრეს. მით უფრო ადვილათ მოაოხრეს საქართველო ამითა, რომ ნადირმა თან წაიყვანა ინდოეთში ირავალი საქართველო უპატრონოდ იყო დარჩენილი.

ღვიძლი ძმა ნადირ-შაჰისა, იბრაიმ-ხანი, რომელიც ნადირს გაეშვა თავრიზში უმთავრეს საზღვრათ, წამოვიდა განჯისკენ, რომელსაც ერტო ლეკის ჟარა. რაკი ეს გაიგეს ლეკებმა, იმათ გამოსწიეს თბილისისკენ. იბრაიმ-ხანი მოეწია იმათ ყარაიასკედ იოჯრასა და მტკვარს შუა და მოუხდა ცხარე ბრძოლა ლეკებთან. ბრძოლამ თუმიცა დიდს სანს გასტანა, მაგრამ მანინ ბოლოს სძლია იბრაიმ ხანმა, და ლეკები გაიქცნენ თავის მთებისაკენ. მორე წელიწადს ღიადე გამოვიდნენ ლეკები, ახლა მომხრესი მათ აღას-ნის ლეკებიც (?) და ააოხრეს ხივანის გაუმაგრებელი ალაგები იბრაიმ-ხანი კვალად მოუტა ამათა: მოინდომა სრული შემუსრვა ლეკთა. ბრძოლა ლეკებმა დიდი გაუწიეს და არ შეუშვეს მთებში იბრაიმ ბოლოს ლეკებმა მრავალ გზით სძლიეს იბრაიმს და მოკლეს თვითონ იბრაიმც. ამან ძალიან გავრისხა ნადირი. იან მოინდომა სრული დამორჩილება შიჩვანისა და დაღესტანისა.

(შემდეგი იქნება)

რედ.-გამომცემელი ა. ნებიერაძე

ჭირა მთები და ყველა სიმაგრეები და დააყენა მთელი საქართველო ფეხზედ. რაკი ესე ჰხანა შაჰმა, ადგა და ყველა ქართველები პატიმრები გამოუსვა, უწყო ყველას დაუვაგება, მისცა მრავალი წყალობა და დაარწმუნა, რომ იმას სრულიად არა ჰქონდა ას განძრახვა, რაც გიგი ამილახვარმა იმას დასწამა.

მე გიგი ამილახვარს ეჭირა ოსმალების მხარე და თეიმურაზის წინა-ღმდეგ ჰქონდა სურამი გამოგრებული.

„ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკეთოს გაზეთი ა) 1890 წელსათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, №21; გ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ. თავად აზნაურთა სადგომამშულო ბანკის ქარვასლის გალერიაში.

გაზეთის ფასი.

თორმეტი თვით	10 მ.	— ბ.	ექვსი თვით	6 მ.	— ბ.
„ 11	9	50	„ 5	5	25
„ 10	8	75	„ 4	4	75
„ 9	8	—	„ 3	3	50
„ 8	7	25	„ 2	2	75
„ 7	6	50	„ 1	1	50

ტფილისის გარე მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახედნს თუღს შიდაპირ რედაქციაში წარმოადგენს, ან გამოგზავნის.